№ 39

შაბათი, 20 თებერვალი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 39

შაბათი, 20 თებერვალი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


დღეს, 20 თებერვალს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება ნახევარის წლის წირვა, ხოლო ხვალ, 21 თებერვალს, პანაშვიდი განსვენებულის ტფილისის ვაჟთა მე-2 გიმნაზიის მე-7 კლასის მოსწავლის

**გიორგი დავითის ძის ორჯონიკიძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყობა დილის 9 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 11 საათზედ. (1—24—1)

## უკანასკნელი წარმოდგენა.

## ქართული თეატრი

შაბათს, 27 თებერვალს,

**ბენეფისი ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ქ-ნ ეფ. მესხის, ნატ. რჩეულისა; ბ-ნ კ. ყიფიანის, ვ. გუნიასი** და მთელის დასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**პირველად**

**I**

ახალი პიესა

## თავ-ალეზული

დრამა 3 მოქმედ. თარგ. ანეტა ჩიკვაიძისა

**II**

პირველად განახლების შემდეგ

## ეზრები

ფარსი 3 მოქმედ. გადმოკ. თ. სახოკიას და ვ. გუნიას მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასსაში.

ქართველ-ქალთა ამხანაგობის

## სახელოსნო-სამკერვალო

(ბარონის ქუჩაზედ, თამამშოვის სახლებში № 12).

მსურველთ შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ სასწავლებლად.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს.

## ფოთის საურთიერთო სა-კრედიტო საზოგადოების გამგეობა

**ამით აცხადებს, რომ კვირას, 14 მარტს ამა წლისას დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები:

1. ანგარიში 1898 წლისა.
2. 1899 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
3. არჩევანები საბჭოს ორის დეპუტატისა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით.
4. არჩევანები გამგეობის თავმჯდომარის და დირექტორისა, იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გასდით ან ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავს ანებებენ.
5. არჩევანები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და იმათის კანდიდატებისა.

საზოგადოების წესდების მე-36 მუხლის ძალით საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საზოგადო ნოტარიული რწმუნებითი ფურცელნი წარდგენილ უნდა იქმნან გამგეობაში კრებამდე სამის დღით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს ამა წლის მარტის 11 რიცხვისა. (3—6—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილი-ი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. —დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პრიტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკი. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ)

## ექიმი

დიმ. კონსტანტინეს ძე ერისთავი

(ოქრომჭედლების ქ., ს. თულაევისა № 40)

იღებს ავადმყოფებს—სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი — დილის 10 დგან—1 საათამდის. (7—20—4)

### მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა თავადი სიმონ ნიჟარაძე—აქსტაფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნენ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი: სოხუმის კომენდანი—ზუგდიდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; დელიჯანისა სარიშვილი—კარაკლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში და ახალციხისა სიმონ კაშია—აბასთუმნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ერევნის გუბერნიის სამმართველოს კანცელარიის მოხელე კანდელაკი—ერევნის სახაზინო პალატაში.

დანიშნულ იქმნა ამიერ-კავკასიის და იმიერ-კასპიის მხრის საქციზო გარდასახადთა მე-VIII ოლქის უფროსი კანტრალიორი გასილი ახვლედიანი—უმცროს ტეხნიკად.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, 21 თებერვალს, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი, გორის ეპისკოპოსი, მწირველი ბრძანდება ანჩისხატის ტაძარში. წირვის დროს იგალობებს სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა გუნდი ბ ნ ჩხიკვაძის ლოტბარობით.

*** თავად-აზნაურთა უკანასკნელ მოლაპარაკების დროს ბ-ნმა ა. ნ. ფურცელაძემ წინადადება შეიტანა, რომ მომავალ საგანგებო კრებას წარედგინოს განსახილველად საგანი ჩვენში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ. ამ კრებაზედვე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ, რადგანაც შარშან შესრულდა ასი წელიწადი მეფე ერეკლე II-ის გარდაცვალების დღიდგან, შუამდგომლობა იქმნას აღძრული იმის შესახებ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ირაკლის სახელი ეწოდოს და დაწესებულ იქმნას 2 სტიპენდია საშუალო სასწავლებელში, 1 სტიპენდია თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში და ერთიც—მცხეთის დედათა სკოლაში.

*** დღეს, 20 თებერვალს, საღამოს 7½ საათზედ, რუსეთის საბალონო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში (გოლოვინის პროსპექტი, № 45) გამართული იქმნება მე-5 საუბარი ბაღოსნობის შესახებ. საუბრის შემდეგ მოხდება განყოფილების კრება, რომლის დროსაც გამოფენილი იქმნება ზოგიერთი ექსპონატები.

*** 13, 14, 15 და 16 თებერვალს სამხედრო საქართველოს გზით რუსეთში გაგზავნილი ფოსტა სადგურ გუდაურიდგან 17 თებერვალს უკანვე დააბრუნეს და ამიერ-კავკასიის გზით ბათუმ-ნოვოროსისკზედ გაჰგზავნეს.

*** როგორც ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის მიერ უკანასკნელად მიღებულის ცნობებიდგან სჩანს, სამხედრო-საქართველოს გზაზედ ახალი ზვავები ჩამოწოლილა. იმედი აქვთ, რომ გზა დღეისათვის გაწმინდონ, თუ კარგი ამინდი დაუდგათ.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამას წინად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პროექტის შემუშავება ამიერ კავკასიაში საერობო დარაჯის გადაკეთების შესახებ. კომისიას უკვე შეუმუშავებია პროექტი და ამ ახლო მომავალში იგი პროექტი სახელმწიფო საბჭოს წარედგინება განსახილველად. ახალის პროექტით, როგორც „ტფ. ფურცელს“ ატყობინებენ, დარაჯის შესანახად დიდი ფული იქმნება გადადებული საერობო თანხიდგან.

*** გუშინა ვწერდით, რომ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უარ ჰყო ბ-ნ რობის წინადადება ცხენის რკინის გზის გაყვანის შესახებ და შეიწყნარა წინადადება ინჟენერის ბ-ნ მიხაილოვისა. აი, ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი ამის შესახებ რასა გვწერს: „16 თებერვლის კრებაზედ განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც შემდგარი იყო ხუთის ხმოსნისა და გამგეობისაგან, წარმოუდგინა საბჭოს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რომელი პირობა უფრო სასარგებლოა ქალაქისათვისო: ბ-ნ რობისა, თუ ინჟენერის მიხაილოვისა. კომისიას უსარგებლოა ორისავე პირობით და შეუდგენია ახალი, ქალაქისათვის უფრო საუკეთესო პირობა, რომელზედაც დათანხმებულა ბ-ნი მიხაილოვი. საბჭომ, მოისმინა რა ეს ახალი პირობა, 41 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 3-ისა, დაადგინა, ელექტრონის რკინის გზის გაკეთების უფლება მიეცეს ბ-ნ მიხაილოვს, გარეშეთაგან აღარ მიიღოს არავითარი განცხადება ამ საგნის შესახებ“.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ხვალ, 21 თებერვალს მცხეთაში სცენის მოყვარეთა მიერ საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენა იქმნება გამართული. ითამაშებენ ა. ცაგარლის პიესას „ციმბირელს“.

*** განჯის საგუბერნიო მთავრობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ წელს ამ გუბერნიაში კალიის ამოსაწყვეტად გადადებულ იქმნას 7,000 მანეთი.

*** ყარსიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ აქ 17 თებერვალს ისეთი დიდი თოვლი მოვიდა და საშინელი ქარ-ბუქი ამოვარდა, რომ ყარსში მიმავალი ყველა გზები შეიკრაო.

*** ჩაქვადამ დეპეშითვე იუწყებიან, რომ რკინის გზის ლიანდაგი ჩაქვასა და ბათუმს შუა მე-90 ვერსზედ გაწმენდილ იქმნა მიწის ზვავისაგან, რომელიც ამას წინად ჩამოწვაო.

*** თელავიდგან დეპეშით ატყობინებენ „ახ. მიმ.“-ს, რომ დიდი თოვლის გამო გომბორზედ გზა შეკრულიაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდგან, რომ ქუთაისის ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა გადადებულ იქმნას 4,000 მანეთი ართვინის ოლქში სოფ. ცრიას მახლობლად მდ. ჭოროხზედ გადებულის ხიდის შესაკეთებლადა და აგრეთვე მდინარის ნაპირების გასამაგრებლად ამ ხიდთანაო.

*** ცხინვალი. ამ რამდენისამე წლის წინად აქ დაარსდა საამხანაგო „ღვინის მარანი“, სადაც აგროვებდნენ და, თუ არა ვსცდებით, დღესაც აგროვებენ რთველობის დროს წევრნი ამხანაგობისანი რამდენიმე თუნგს თუ კოკას ტკბილს საერთო თანხის გასაძლიერებლად. მაგრამ ჯერ რიგიანად არავინ იცის, რის პატრონია ამხანაგობა. ხუთი ექვსი წელიწადი მეტია, რაც ეს ამხანაგობა არსებობს, და ერთხელაც არა ჰქონია კრება, რომ გაეგოთ წევრებს, რა იქნა ამდენის ხნის მოგროვილი ტკბილი. თუ ასე უყურადღებოდ გასტანა ამ საქმემ, ეჭვს გარეშეა, არ ივარგებს ამხანაგობისთვის და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება, დიდი უსიამოვნებაც ჩამოვარდეს წევრთა შორის.

ყოვლად უსამღვდელოესის, ალავერდის ეპისკოპოსის, კირიონის თაოსნობით კავკავიდგან აქ გადმოაქვთ დედათა სასწავლებელი. როგორც შევიტყეთ ნამდვილის წყაროდგან, ცხინვალელებს გაუმართავთ ხელის მოწერა ფულის შესაგროვებლად სასწავლებლისათვის ადგილის შესაძენად.

⁂ საბჭოს იმ კომისიამ, რომელსაც ხორცის ნიხრის დაწესების საქმე აქვს მინდობილი, რადგანაც ამ ბოლოს დროს საკლავ საქონლის ფასმა დაიწია, ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ აწ არსებული ნიხრი დაკლებულ იქმნას.

⁂ გუშინ-წინ, 18 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე გასილ იაგორის ძის მამიკონოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდებოდა. სასამართლომ, დამნაშავედ სცნო რა მამიკონოვი, დაადგინა, ჩამოერთვას ყოველივე უფლება და უპირატესობა და დაპატიმრებულ იქმნას საპყრობილეში ერთის წლითა და ექვსის თვით. ბრალდებული თავდებობით არის განთავისუფლებული.

⁂ სადგურ ნიგოითიდგან სწერენ „კვ.“ს, რომ 17 თებერვალს სადგურის შენობაში გზის დარაჯმა კალანდარიშვილმა, მთვრალმა, ხანჯლით დასჭრა ორს ადგილას მუშა ბერაია. დაჭრილი რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ ამას წინად სიღნაღის მაზრაში, ნაურთემში, ცეცხლი წაეკიდა და სულ გადაიწვა თავ. ახდრონიკაშვილის საღორე. დაილუპულა 123 ცალი ღორი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან.

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის“ მე-35 ნომერში, ფოთის ქალაქის საბჭოს ანგარიშში შეცდომით დაბეჭდილი იყო: „გამგეობა ობლიგაციების განაღდების დროს ყოველ მანეთზედ ჰკარგავდა ხუთ მანეთს“; უნდა იყოს: გამგეობა ობლიგაციების განაღდების დროს ყოველ ას მანეთზედ (100 მ.) ჰკარგავდა ხუთ მანეთს“.

## მისის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს სახელ-წოდების დღე.

18 თებერვალს მაღალ ყოვლად-სამღვდელო ექსარხოსის ფლაბიანეს სახელ-წოდების დღე იუქმეს ტფილისის სასულიერო სემინარიამ, სასულიერო ვაჟთა და საეპარქიო დედათა სასწავლებლებმა. ამას გარდა ტფილისის ყოველს ეკკლესიაში შესრულებულ იქმნა წირვა და წირვის შემდეგ პარაკლისი წმ. ფლაბიანეს მიმართ. საექსარხოსო კარის ეკკლესიაში საღმრთო წირვა შეასრულეს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესმა ექსარხოსმა ფლაბიანემ ყოვლად სამღვდელოთა ლეონიდის და კირიონის თანამწირველობით. ამავე წირვაში მონაწილეობა მიიღეს ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა, არხიმანდრიტმა ჰერმოგენმა, სინოდის კანტორის წევრმა არხიმანდრიტმა არისტარქოსმა, ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარმა არხიმანდრიტმა დოსითეოსმა და სხვათა წარმომადგენელთა ტფილისის შავოსან და თეთროსან სამღვდელოებისამ. წირვაზედ გალობდა ორი გუნდი: საექსარხოსო და სასულიერო სემინარიის მოწაფეთა. წირვას დაესწრო აუარებელი ხალხი.

წირვის შესრულების შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი წმ. ფლაბიანეს მიმართ. ამის შემდეგ ექსარხოს სისსასახლის დარბაზში შეგროვდა მრავალი ხალხი: ტფილისის მთელი სამღვდელოება, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლები და აღმზრდელები, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, მისი თანაშემწე და მასწავლებლები, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის უფროსი ქალი და მასწავლებლები და აღმზრდელი ქალები. საპატიო კაცთა შორის შევნიშნეთ: კავალერიის გენერალი თავადი ი. გ. ამილახვარი, მთავარ-მართებელის კანცელარიის დირექტორი ბ. მიცკევიჩი, საოლქო მზრუნველი კ. პ. იანოვსკი და მრავალნი სხვანი... შეკრებილმა საზოგადოებამ მიულოცა სულით და გულით უსაყვარლესს მწყემს მთავარს სახელწოდების დღე და მოისურვა სისთვის დღეგრძელობა... ტფილისის სამღვდელოებამ მიართვა საჩუქრად მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესს ფლაბიანეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი და მის წინ დასაკიდი ლამპარი. ამ საჩუქრის მირთმევის დროს ბლაღოჩინმა მღვდელმა ტფილისის ეკკლესიებისამ მამა სოლ. შოშიაშვილმა წაიკითხა შემდეგი ადრესი სამღვდელოებისა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესის ექსარხოსის მიმართ: —

თქვენო მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობავ, ყოვლად უმოწყალესო მწყემს-

მთავარო და მამაო!

„მცირე ხანმა განვლო ჯერ მას აქეთ, რაც იწყეთ თქვენ მსახურება საქართველოს საექსარხოსოში, გარნა მიუხედავად ამ ხანმოკლეობისა, ნაყოფიერია მსახურება იგი ფრიად. მთესვარსა, რომელიც სთესავს თესლსა კეთილსა ღვთის-მიერ მისდა მინიჭებულსა ველზედა, დიდი დრო არ უნდა უხვად ქირნახულის შემოსაკრებად. არა წელთა სიმრავლით განიზომება ძალი და სიღრმე ერისა სიყვარულისა თვისის მწყემს-მთავრის მიმართ. წმიდა თესლი მწყემსისა სიტყვისა, შთავარდნილი მწყემსილთა გულში, ერთი ასად მრავლდება წელსავე დათესვისასა.

„მშვიდობა, სიყვარული და კურთხევა ამცნეთ თქვენ ქართველთა სამწყსოსა, ოდეს მობრძანდით და იხილეთ ზეციერისა დედოფლისა საღმრთო წილ-ხდომილი ქვეყანა, შეღებილი წმ. მოწამეთა გუნდთა სისხლითა. საქართველოს ყოველმა წოდებისა და ხელობის მკვიდრთა-შორისმა გულ-წრფელად შეგიყვარა თქვენ, სათნოება-მოსილო და სიყვარულით-აღსავსეო მწყემსთ-მთავარო, თქვენის მამობრივის გულ-კეთილობისა, თავდაბლობისა, კაცთ-მოყვარებისა და სამართლიანობისათვის. მხოლოდ სულიერი ერთობა მწყემსისა და სამწყსოსია შემძლებელი, რომ მათ გაიცნონ ერთმანერთი და განიმსჭვალნენ სიყვარულით. გარნა ერთურთის სიყვარულზეა ყოველივე დამკვიდრებული; სიყვარული ყოველსავე ასულდგმულებს, ყოველსავე შეიჭყნარებს და შეივრდომებს! თქვენ გაიცანით სამწყსო თქვენი და სამწყსომან თქვენმან გიცნათ თქვენ, თვისი მწყემსთ-მთავარი (სახარ. იოანესი 10.14). ბედნიერია სამწყსო, რომელსა უვის მწყემსთ-მთავარი და მწყემსთ-მთავრისა მისთვის იმდენადვე ძვირფასია და წმინდა ნაანდერძევნი საქართველოს წარსულისა, მისნი საკურთხეველნი და წმ. ხატნი, როგორც ძვირფასია მართლ-მადიდებელ ივერიის თითოეულ ძისათვის. და ერთი პირითა და ერთითა გულითა ადიდებენ ღმერთსა.

„ოდეს თვალ და თვალ იხილეთ ჭირნი და იწროებანი საქართველოს ეკკლესიისა, — ამ მრავალ-წლოვან მართლ-მადიდებლობის ლამპრისა, თქვენ დარწმუნდით, რომ ვრცელსა და ფართოდ გაშლილ საქართველოს საექსარხოსოში გაძლიერებულა მწვალებლობა, სარწმუნოება არა-მართლ-მადიდებლობითიო, და ამიტომ საჭიროდ სცანით ამაღლება საქართველოს ერის საეკკლესიო სარწმუნოებრივის ცხოვრებისა. ამიტომვე მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ქართულს საეკკლესიო კითხვა-გალობას. თქვენის მწყემსთ-მთავრულის კეთილ-მზრუნველობის წყალობით იღვიძებს ქართული საეკკლესიო გალობა, რომელმაც კვლავ აახმაურა მშობლიურის კილოთი საქართველოს წმიდა ტაძარნი, ხოლო ქართულის ენის უკეთესად წარმართვისათვის აქაურს სასულიერო სასწავლებლებში თქვენ კეთილ ინებეთ დაარსება საქმის მცოდნე კომიტეტისა.

„არ იქმნა თქვენ მიერ დატოვებული უყურადღებოდ საქართველოს ძველი ტაძრებიცა, შესანიშნავი თვისის საოცარის ჩუქურთმებითა, მხატვრობა-შემკულობითა და უძველესის წარსულის ნაანდერძევითა, ის ტაძრები, რომლების აღდგენა და განახლება ესდენ სათნო და სასურველ უჩნს ნებასა თვით-მპყრობელისასა. თქვენის მობძანებისათანავე, მეუფეო წმიდაო, ფრთა შეისხა იმ კომიტეტის მოღვაწეობამ, რომელსაც აქვს მინდობილი განახლება მცხეთის ტაძრისა, რომელიც კათედრა იყო ქართველ პატრიარქკათალიკოსთა და რომელსაც დიდს თაყვანსა სცემს მართლ-მადიდებელი საქართველო. თქვენი თანაგრძნობა ამ ღვთის სათნო-საყოფელის საქმისადმი და უხვი შეწირულება თქვენი, რომელიც დაედო საფუძველად საქმესა, თავმდებია იმისი, რომ მალე განახლდება ეს შესანიშნავი ძეგლი ქართულის საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა მთლად ჩვენის ქვეყნის სასიხარულოდ

„არ დასტოვეთ, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, ქართული საეკკლესიო ძველ ნაშთთა საცავიცა, რომელიც თქვენის მფართველობითა, თანაგრძნობითა და ხელ-შეწყობითა განაძლიერებს თვისსა ნაყოფიერსა მოღვაწებასა დედა-ეკკლესიისა და ჩვენის საზოგადოების სასარგებლოდ.

„არა მცირე მწყემს-მთავრული ღვაწლი დასდეთ აგრეთვე საეკკლესიო-სამრევლო სკოლების განმრავლებისა და განწეს-რიგების საქმესა, ისე როგორც ღვთის საკურთხევლის მსახურთა ნივთიერის ყოფა-მდგომარეობის განკარგების საქმესაცა. საქმე ქართულსაეკკლესიო და სამღვდელ-მოქმედო წიგნების და დაბადების გასწორებისა და დაბეჭდვისა, რომელიც რამდენსამე წელს ზოზინით მიდიოდა: ძლივს ახლა, თქვენს ხელში, ეღირსა სასურველს წარმატებასა, გულ-წრფელად პატივცემულო მწყემსთ-მთავარო.

„შვილებრივის გრძნობით მოგილოცავთ მრავალ-მნიშვნელოვანს დღეს თქვენის სახელ-წოდებისას და უმდაბლესად გთხოვთ მიიღოთ ამასთანავე მორთმეული თქვენდა ხატი ივერიის ღვთის-მშობლისა, თვისის ქვეყნად წილ-ხდომილის—ივერიის მფარველისა, იმ ივერიისა, რომელიც ესოდენ ბედნიერია, რომ თქვენს ბრძნულს მეთაურობა-წინამძღოლობასა ქვეშე იმყოფება. მიიღეთ იგი ხატი, ვითა წინდი ჩვენის შვილებრივ სიყვარულისა და ერთგულებისა თქვენის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობისა მიმართ, ხოლო ლამპარი ესე ენთოსმცა ზეციერისა დედოფლისა ხატის წინაშე, ვითარცა გრძნობით-გამთბარი და მგზნებარე ლოცვა წინაშე უზენაესის საყდრისა დღეგრძელობისათვის თქვენისა მრავალ, მრავალ ჟამიერ“.

დეკემა შუა-მთის მონასტრის ძმათა, მოსული ტფილისს მათთა წინამძღვრის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის სახელობაზედ.

„უმდაბლესად გთხოვთ ესე ჩვენი მოლოცვაც ფიანდაზად დაუფინოთ ფერხთა ქვეშე მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას: გულ-წრფელად მოყვარულო ღვთის-მიერ უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო და მამაო! შუამთის უდაბნო დედისაღვთისაი ლოცვისაღვლენით მოგილოცავთ დღეს თქვენის წმიდა ანგელოზისას და, უსისხლო მსხვერპლის შემწირველნი მას შინა ძმანი ევედრებიან ღვთის მშობელს თქვენის ჯან-მრთელობისა და დღეგრძელობისათვის. ივერიის მფარველის—ზეციერის დედოფლის საკვირველ მოქმედ სახის წინაშე მდგომნი ვეხვეწებით: წმინდასა მამასა ჩვენსა ფლაბიანეს, აღმსარებელსა, პატრიარქსა სამეუფეო მის ქალაქისასა მიანიჭოს მცა უფალმა ძალი და ღონე, საჭირო თქვენის, ჭეშმარიტად, ფრიად მრავალ კერძოვანისა და ფრიად მრავალ-გვარად საძნელო მსახურებისათვის. გაათბოსმცა მან გულნი თქვენის მწყემსილთანი, თქვენს წინამძღვრობასა რწმუნებულნი მგზნებარე და თავ-განწირულის სიყვარულითა თქვენდა მიმართ.“ დავემხობით მეუფეო წმინდაო, ფერხთა თქვენთა წინაშე და გულ-მოდგინედ გევედრებით, რათა ღირს გვყო ჩვენ თქვენის ღვთისა წინაშე ფრიად ძლიერის ლოცვისა.

თქვენის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის უუმოწყალესის მწყემსთ-მთავრის და მამისა მლოცველნი, უღირსნი ძმანი შუამთის მონასტრისანი“.

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

ჩინეთის იმპერატორი და იმპერატრიცა.—ბრძოლა ჩრდილო ჩინეთისა და სამხრეთისა.—ძველი და ახალი ამბოხება.—რეფორმების შემოღების სურვილი და ამის შედეგი.—რა პოლიტიკას ადგანან ჩინეთის შესახებ იაპონია, ინგლისი, ამერიკა, რუსეთი საფრანგეთი და გერმანია.—რა მოელის ჩინეთს?—

დღესაც კიდევ ჩინეთის შესახებ ვესაუბრებით მკითხველებს. გასულ შაბათს მოგახსენეთ, რომ ჩინეთს გამოღვიძების ნიშნები ეტყობა და ეს ნიშნები ნათლად არის აღნიშნული პეკინიდგან გამოგზავნილ წერილში, რომელიც დაბეჭდილი იყო რუსულს ჟურნალში „Вѣст. Евр.“ ეხლა კიდევ ზოგიერთ ცნობებს მოვახსენებ მკითხველთ; ეს ცნობები ამოკრებილია რუსულ ჟურნალიდგან „Вѣстн. Иностр. Литерат.“

ეხლანდელი ვითარება ჩინეთისა ასე გამოიხატებაო, ამბობს ეს ჟურნალი. ამ ჟამად ორი რევოლიუციაა ჩინეთში. ერთი რევოლიუცია სწორედ რომ უცნაურია. ხალხი-კი არ უწევს წინააღმდეგობას იმპერატორსა, არამედ იმპერატორი ეწინააღმდეგება ხალხს. იმპერატორმა მოიწადინა მოესპო ის ცრუ-მორწმუნეობა, რომელიც აგერ ათასის წლობითა ჰბუდობს ჩინეთში. იმპერატორს უნდოდა უარ-ეყო ხავს მოკიდებული, ათას წლობით განვითარებული სიბრძნე ჩინელებისა, რომელიც არ შეეფერება სახელმწიფოთა ეხლანდელს ვითარებას. ახალგაზდა იმპერატორს უნდოდა შეეცვალა მთელი წეს-წყობილება ჩინეთისა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა, დამარცხდა და ტახტიდგან გადაყენებულ იქმნა. მართალია იმპერატორი ისევ ვითომ იმპერატორად ითვლება, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ ჟამად ჩინეთში იმპერატორი არ არის და იმის მაგიერად ბრძანდება ცრუ-მორწმუნე დედაბერი, რომლისათვის ჩინეთის მომავალ ბედს, თუ გნებავთ, იმიტომ არა აქვს მნიშვნელობა, რომ თვით ამ დედაბერსაც აღარა აქვს მომავალი!

ხალხი აღელდა. აღელდა იმიტომ კი არა, რომ მეფის ტახტზედ ეხლა ორი ადამიანი დაინახა, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოდ არ უნდა ამ დინასტიის არც ერთი იმპერატორი ბრძანდებოდეს ტახტზე. ერისათვის ახალგაზდა იმპერატორიც ისევე უცხოა თავისის რეფორმებით, როგორც მოხუცებული იმპერატრიცა. ერმა კარგად იცის, რომ თუმცა თავისუფლება კარგია, მაგრამ ეხლანდელი მანდარინები, ესე იგი ჩინეთის მოხელეები, იმპერატორისა თუ იმპერატრიცის კეთილს სურვილს ბოროტად აქცევენ. და ხალხიც ჰღელავს, ებრძვის მოხელეებსა და თვით ჯარსაც.

ეს ბრძოლა გუშინდელი საქმე არ არის. აგერ სამი საუკუნე სრულდება, რაც ამ ბრძოლამ გამოჰყო თავი. დაიწყო ეს ბრძოლა 1619 წელს, როდესაც ჩინეთს შემოესია მანჯურიის დინასტია. ჩინეთის ჩრდილოეთის ადგილების მცხოვრებლები აღტაცებით დაუხვდნენ ამ დინასტიას და მას აქეთ ჩინეთის მოხელეებად არიან მხოლოდ მანჯურები და ჩრდილოეთ ჩინეთის მცხოვრებთა წარმომადგენელნი. სამხრეთ ჩინეთის მცხოვრებლებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ მეჩვიდმეტე საუკუნის რევოლიუციაში და ამიტომ პეკინის მთავრობის მოწყალებასაც ვერ ეღირსნენ. სწორედ ამ სამხრეთ ჩინეთის მცხოვრებნი ებრძვიან ეხლანდელს მთავრობას. ნუ დავივიწყებთ, რომ სამხრეთ ჩინეთის მცხოვრებთა რაოდენობაც მეტია და აქაურნი მცხოვრებნი უფრო განვითარებულნიც არიან. და აი ეს მცხოვრებნი უმადურნი არიან მთავრობისა და აარსებენ ათასობით საიდუმლო საზოგადოებას მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ გვარ საზოგადოებას ჩინეთში თვლა არა აქვს. თამამად ითქმის, რომ მთელი სამხრეთი ჩინეთისა წარმოადგენს საიდუმლო საზოგადოებას, რომელიც მუდამ მზად არის ამბოხებისათვის. ასეთი იყო ამბოხება 1830 წელს, 1840 წელს და ასეთივე არის ეხლაც.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჩინეთის ერთის ნახევარის მცხოვრებნი განირჩევიან მეორე ნახევარის მცხოვრებთაგან, ადვილად წარმოვიდგენთ ჩინეთის ეხლანდელს ვითარებას. ჩრდილოეთი მომხრეა ეხლანდელის მთავრობისა, სამხრეთი-კი—წინააღმდეგია. ჩრდილოეთი ეხმარება მთავრობას ყველა ახალ საქმეში და რეფორმების შემოღებაში, სამხრეთი წინააღმდეგია ყველა რეფორმებისა, რომელიც არ მოსწონს. აქ ორს მაგალითზე მიუთითებთ მკითხველს. ტონკინის ომი რომ დაიწყო, ჩინეთს შეესივნენ ევროპიელნი, რომელთაც ყველა ჩინელი ბარბაროსებსა და ეშმაკებს ეძახის. მთელი ჩინეთი წინ აღუდგა ევროპიელებს. ომი რომ გათავდა, ჩინელებმა ჰნახეს, რომ ფრანგებმა ფეხი მოიკიდეს თვით ჩინეთში-კი არა, არამედ ეგრედ წოდებულ ჩინეთ-ინდოეთში და რადგანაც ამ ადგილების მცხოვრებთ არც თუ ბევრი რამ აქვთ საერთო ნამდვილ ჩინელებთან, ფრანგებს სრულებით თავი მიანებეს. ასე არ იყო საქმეთა ვითარება მაშინ, როდესაც ჩინეთსა და იაპონიას შორის ომი ასტყდა. იაპონიას ეომებოდა ჩინეთი კი არა, არამედ ეომებოდა მანჯურიის დინასტია, რომელსაც უნდოდა თავისი გაეყვანა კორეაში. სად კორეა და სად ჩინელი კაცი! სწორედ ეს გარემოება გახლდათ იმისი მიზეზი, რომ სამხრეთ ჩინეთის საიდუმლო საზოგადოებანი ეხმარებოდნენ იაპონელებს და გზას უჩვენებდნენ ჩინეთის იმპერიის გულისაკენ, ესე იგი პეკინისაკენ. ვინ იცის, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი ახალ-სენაკიდგან

როგორც უკვე მოეხსენება „ივერიის“ მკითხველებს, წარსულ წლის იანვრის შუა რიცხვებში ახალ-სენაკში გაიხსნა ადგილობრივის ბლაღ. მღ. მ. არისტარხოს კალანდარიშვილის მეცადინეობით სამრევლო საეკკლესიო საქალებო სკოლა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სკოლის გახსნას არამც თუ ახალ-სენაკის ახლო-მახლო მცხოვრებლები და თვით დაბის მკვიდრნი მიეგებნენ დიდის სიხარულით, არამედ მთელი მაზრა, რადგან ხსენებული საქალებო სკოლა ყველასათვის სასარგებლო და ხელმისაწვდომია, ვისაც სურს თავისს ქალი-შვილს სწავლა-განათლება მიაღებინოს. წლეულს მაზრის სხვა-და-სხვა სოფლიდგან მრავალი პატარა ქალები მოიყვანეს აქ აღსაზრდელად. ჯერ ჩვენს მაზრაში არ არის ისეთი საქალებო სკოლა, რომელიც ოდნავ მაინც აკმაყოფილებდეს სწავლა-განათლების მოთხოვნილებას, და ჩვენს ღარიბს ხალხს იმისი შეძლება ხომ არ აქვს, რომ თავისი ქალიშვილი ფოთში ანუ ქუთაისში წაიყვანოს გასაზრდელად რომელიმე სასწავლებელში. მართალია, ახალ-სენაკში, აგერ ათ წელიწადზე მეტია, რაც საქალებო სკოლა არსებობს, მაგრამ ჯერ ისეთი კვალი არ დაუმჩნევია იმას, რომ იმითი კმაყოფილი იყვეს ადგილობრივი საზოგადოება, რადგან იქაურ კურს დამთავრებულებს ინჩიც არ გაეგებოდათ ქართულისა. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც სრულიად აღარ ასწავლიან ქართულს ენასა, რის გამოც გულ-ნატკენი არიან მოსწავლეები და იმათი მშობლები. სამრევლო საქალებო სკოლის პროგრამა ჯერ ფართო არ არის, მაგრამ ხმა დადის, რომ მ. ბლაღოჩინი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე პროგრამის გაფართოების და კლასების მომატების შესახებო. ეს ხმები თუ გამართლდა, მთელის მაზრისათვის სასარგებლო და საშვილი-შვილო საქმეც გაკეთდება ამით.

ამ ჟამად ამ სკოლაში ასწავლიან შემდეგს საგნებს: რუსულ და ქართულ ენებს, საღმრთო ისტორიას რუსულ-ქართულად, არითმეტიკას, წერას, გალობას, ხელ-საქმეს აბრეშუმის მოვლა-მოშენებას და ორი მუდმივი მასწავლებელია, ერთი—ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში პირველი ხარისხით და ოქროს მედლით კურს დამთავრებული ანასტასია ვასილის ასული ლომინაძე, მეორე—მთავარ დიაკონი მ. გერასიმე ხოშტარია და სამი სხვა, სამეგრელოს სასულ. სასწავ. მასწავლებლები. 5 თებერვალს ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი დაესწრო ამ სკოლაში გაკვეთილებს. ბ-ნმა გუბერნატორმა, რამდენიმე კითხვა მისცა მოსწავლეებსა და მათის მკვირცხლი პასუხით ნასიამოვნები დარჩა. წასვლის დროს გუბერნატორმა მასწავლებლებს მადლობა უთხრა, მოსწავლეებს-კი მამა შვილურის სიტყვებით დაარიგა.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## წერილი ალისუბნიდგან

(შორაპნის მაზრა)

ალისუბანში, როგორც უწყის „ივერიის“ მკითხველები, არსებობს ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც დააფუძნა ბ-ნმა ნიკო სიმონის ძე წაკვასიძემ. მან ააგო ოთხ-თვალიანი და ერთსართულიანი ქვითკირის შენობა და შესწირა სასულიერო მთავრობას. ეს სკოლა დიდი ხანი არ არის, რაც მეორე-კლასიანად გადაკეთდა მთავრობის განკარგულებით. ამის შემდეგ ბ-ნ ნ. წაკვაიძემ კიდევ შესწირა ამ სკოლას ხუთი ქცევა სახნავი მიწა. სხვა ბევრი შემწეობაც მოსალოდნელი იყო იმისაგან, მაგრამ იმან უკვე დასტოვა ალისუბანი და გადასახლდა იერუსალიმში წმ. ადგილების სანახავად და, როგორც თითონვე სთქვა, იქ საცხოვრებლად. ამის შემდეგ ეს სკოლა უნდა დაობლებულიყო, მაგრამ ეხლა სასულიერო მთავრობამ თავისი მოწყალე კალთა და მფარველობა არ დაიშურა ალისუბნელებისათვის. სასულიერო მთავრობამ გადასდო 13,866 მანეთი 80 კაპ. სკოლისათვის ახალი შენობის ასაგებად. უკვე მოწვეულ იქმნა ხუროთ-მოძღვარი, რომელმაც შეადგინა გეგმა; შენობაში სულ თერთმეტი თვალი უნდა იყოს ქვედ შენობიანად, რომელშიაც უნდა მოთავსდეს აბანო და აგრეთვე სხვა საჭირო ოთახებიც უნდა გამართოს როგორც მეურნეობისათვის, აგრეთვე ბავშვების საცხოვრებლად. მთავრობამ საუკეთესოდ სცნო შინაურის საშუალებით გაკეთდეს შენობა, რისთვისაც უკვე შესდგა წარსულ ოც დეკემბერს კომიტეტი, რომლის წევრებადაც არიან დანიშნულნი: მმართველი იმავე სკოლისა, აქაური მღვდელი კლადიმერ სალაძე, მასწავლებელი ამავე სკოლისა ბ-ნი დავით სუხიაშვილი, გლეხი ივანე მემარნიშვილი და თავმჯდომარედ—რუფოთის წმ. გიორგის ეკკლესიის მღ. იოანე სალაძე.

კომიტეტი უკვე შეუდგა საქმეს. მან მოითხოვა ამ თავით 6,000 მანეთი მუშაობის დაწყებისა და საჭირო მასალის მოგროვებისათვის. მომავალ პირველ მარტისათვის უეჭველად დაიწყება მუშაობა, რომელიც უნდა დამთავრდეს სულ მოკლე დროში. ხალხიც სიხარულით მიეგება ამ საქმეს. წარსულ ქრისტეშობისთვეში მობრძანდა აქ ეპარქიის მეთვალყურე მამა მელიტონ კელენჯერიძე, რომელმაც ოთხის ხუთის სოფლის ხალხი შეჰყარა და გონივრულის სიტყვით განუმარტა, თუ რა შედეგი ექნება იმათთვის მომავალ სკოლას. მოსმა საბუთიანმა სიტყვამ სოფლელები აღტაცებაში მოიყვანა და აღუთქვეს თავის მხრივაც შემწეობა.

ერთი უპირველესი საშუალება ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესებისა გზებია. საუბედუროდ, ჩხარის განყოფილებაში რომ ცუდი გზებია, ვგონებ, ბევრგან არ იყოს ისეთი. აქ თითქმის პირველ გიორგობისთვიდგან მოყოლებული აპრილის დამლევამდე დიდის გაჭირვებით შეიძლება მიმოსვლა. ჩვენი ორ-კლასიანი სკოლაც ამ უგზოობით დიდს განსაცდელშია. ამ სკოლაში დადიან ბავშვები ახლო-მახლო სოფლებიდგანაც, როგორც, მაგალითად, რუფოთიდგან, ცელეფიდგან, სკანდიდგან და თვით ჩხარიდგანაც, სადაც სცხოვრობს ბ-ნი პოლიციის ბოქაული. მათ გაჭირვებას ტალახისა და დიდ-წყლობის დროს ვერ აღწერს კაცი. გამოუთქმელის ტანჯვით მოდიან სკოლაში, სადაც ნაშუადღევის მეორე საათზედ თავდება გაკვეთილები. ასე რომ, როცა სახლში ბრუნდებიან თითქმის გზაში უღამდებათ. რამდენჯერ ვთხოვეთ პოლიციას, ამ სოფლებიდგან შემოსავალი გზები ალისუბანში გააკეთებინებინოთ, მაგრამ ყურადღების ღირსიც არ გაგვხადეს. აქაურ ახლო-მახლო სოფლებშიაც აარსებენ იქაური მღვდლები სამრევლო სკოლებს, რითაც დიდს შეღავათს აძლევენ თავიანთ მრევლს. მაგალითად, სოფელი რუფოთი აქამდე დიდს განსაცდელში იყო უსკოლობით, მაგრამ იქაურმა მხნე მოძღვარმა მამა იოანე სალაძემ განიზრახა სკოლის დაარსება და ხალხმაც მხარი მისცა თავისს მოძღვრის სურვილს. სოფლელებმა შესწირეს სკოლას ნახევარ ქცევამდე მიწა და ფიცრულის შენობა და განაჩენით აღუთქვეს სამ-სამი მანეთი მასწავლებელს. სასწავლებლისათვის ავეჯეულობის მოპოვება და შენობის შეკეთება იკისრა თითონ მღვდელმა ი. სალაძემ. ახლა იქ სწავლა გაჩაღებულია. მასწავლებლად არის ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელში კურს დამთავრებული ქალი, რომელსაც სამაგალითო მხნეობით მიჰყავს სკოლის საქმე. ასეთი სკოლა არსებობს სოფ. სკანდეშიაც. ეხლახან დაარსდა თხილთა წყაროშიაც, რომლის შესახებაც ამას წინად სწერდა „ივერიის“ მე-20 ნომერში მღ. მიხეილ ბუჩაძე, მოძღვარი იმავე მრევლისა და დამაარსებელი იმავე სკოლისა.

წვრილმანი ქურდები მეტად გახშირდნენ აქეთ. ამინდები ცუდია და საშინელი ჭინჭყლიანი; თოვლი არ დასდო, მაგრამ ხშირი წვიმებია და ძლიერი სიცივე. გარეთ მუშაობისათვის გლეხები ხელ-შეკრულნი არიან. პურს კაი მოსავლის პირი უჩანს. ღვინო და სიმინდი შარშან ბლომად მოვიდა და წრეულს რა იქნება, არ ვიცით, თუმცა ვაზები ჯერ-კი ცოცხლად იყურება.

ალისუბნელი

# უცხოეთი

**რუმინია.** 3 თებერვალს დეპუტატთა პალატაში მსჯელობა ჰქონდათ რუმინიაში გლეხების მიერ ჩადენილ უწესოების შესახებ. პირველად სოციალისტი მორტუნი შეეკითხა მთავრობას; შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ გლეხების მოძრაობა საგლეხო კლუბებმა გამოიწვია, რომელთა დაარსება სოციალისტების საქმე იყოო. მინისტრის სიტყვით, სოციალისტების კლუბმა ბუხარესტში დაარწმუნა გულუბრყვილო გლეხები, რომ კლუბში წევრად ჩაწერით იმათ უფლება მიენიჭებათ მამულების მუქთად შეძენისა. ორი მოთავე კაცი დაჭერილია, რომელნიც გლეხებს აქეზებდნენ, დანარჩენებიც პასუხის გებაში მიეცემიან. კლუბი დახურულია. როგორც მინისტრმა აუწყა პალატას, გლეხების აჯანყებაში უცხო ქვეყნელ სოციალისტებსაც მიუღიათ მონაწილეობა, რომელნიც მთავრობას უკვე გაუძევებია რუმინიიდგან და ყველგან მშვიდობიანობა აღუდგენია.

**ჩინეთი.** ინგლისის სავაჭრო პალატამ შარშან ლორდი ბერესფორდი გაჰგზავნა ჩინეთში იქაურ სავაჭრო და პოლიტიკურ საქმეების შესასწავლად. ლორდმა კაი ხანს დაჰყო ჩინეთში და შემდეგ იაპონიაზე და ამერიკაზე გავლით ინგლისში დაბრუნდა. ბერესფორდს უთქვამს ამერიკელ გაზეთების თანამშრომლებისათვის, რომ მე იმ აზრისა ვარ, — ამერიკა, ინგლისი, იაპონია და გერმანია დაკავშირდნენ იმ განზრახვით, რომ ჩინეთის მიწა-წყლის შეხების ნება არავის მისცენ, მხოლოდ ყველასათვის-კი ღია უნდა იყოს კარები ამ სახელმწიფოსიო. ჩინეთის ხელუხლებლობისათვის ბერესფორდს საჭიროდ მიაჩნია, — შესდგეს ჩინეთში ლაშქარი ორასი ათასის კაცისაგან, რომელთა გაწრთვნა და უფროსობა ხსენებულ ოთხ სახელმწიფოს აფიცრებს უნდა მიენდოს. მე საბუთები მაქვს ხელშიო, სთქვა ბერესფორდმა, რომ ჩინეთი წინააღმდეგი არ არის ჩემის პროექტისაო.

---

გორ დასრულდებოდა ეს ომი, მაგრამ საქმეში ევროპის დიპლომატია ჩაერია, რომელმაც იძულებულ ჰყო ჩინეთი, ფორმოზას კუნძული იაპონიისათვის დაეთმო! ეს მეტად საწყენი იყო ჩინეთისათვის. ფორმოზა ჩინეთ-ინდოეთი როდია. ფორმოზას მცხოვრები ნამდვილი ჩინელები არიან და თვით ფორმოზა უმთავრესი ნაწილია ჩინეთის იმპერიისა. ის საიდუმლო საზოგადოებანი, რომლებიც ომის დროს იაპონიასა ჰშველოდნენ, ომის შემდეგ იმავე იაპონიას წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს გარემოება არის იმის მიზეზიც, რომ თვით იაპონელნი, რომელთაც დაამარცხეს უზარმაზარი სახელმწიფო, აქამდე ვერას გამხდარან კუნძულ ფორმოზას მცხოვრებლებთან, რომელთა რაოდენობა არ აღემატება 400,000 კაცს.

ეხლა ადვილად მიხვდება მკითხველი, რით არის გამწვავებული ეხლანდელი ბრძოლა ჩინეთში. სამხრეთი გაიძახის: „შორს ჩვენგან „ძინგ“! (ეხლანდელი დინასტია), ჩრდილოეთი იძახის: „შორს ჩვენგან „მიანგ“! (1615 წელს გადაყენებული დინასტია). კარგი ფალავანებისავით შეჰყურებენ ერთმანეთს და არც ერთს ფიქრად არ მოსდის მეორეს დავუთმო გამარჯვებაო. როგორ იქცევა მთავრობა? მთავრობამ იცის, რომ მანჯურიის 80,000 ბარბაროსებმა დაიპყრეს ჩინეთი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩინელები განუვითარებელი, გაუბედავი ხალხია. იცის აგრეთვე, რომ მანჯურები შეუერთდნენ და შეეთვისნენ ჩინელებს. დარჩნენ მხოლოდ თვით მანჯურიის დინასტიის წარმომადგენელნი, რომელთაც კარგად იციან, რომ რეფორმების შემოღება გამოაფხიზლებს ხალხს და იმათ ბატონობას ბოლო მოეღება. ეს გახლავთ იმის მიზეზი, რომ პეკინის მთელი სასახლე ალელდა, როდესაც ახალგაზდა იმპერატორმა რეფორმების შემოღება მოიწადინა. ჩრდილოეთი ეწინააღმდეგება რეფორმებს იმიტომ, რომ ეშინიან, ეს რეფორმები ჩვენვე დაგვღუპავენო. სამხრეთი-კი ეწინააღმდეგება ამ რეფორმებს იმიტომ, რომ რეფორმების შემოღება იმ დინასტიამ განიზრახა, რომელიც სამხრეთს არ უყვარს, სძულს. შედეგი ერთი და იგივეა, ხოლო მიზეზი-კი სხვა-და-სხვა. ამ მიზეზთა სხვა-და-სხვაობა ამტკიცებს, რომ სამხრეთი წინააღმდეგი არ იქმნებოდა რეფორმებისა, თუ სცოდნოდა, რომ ამ რეფორმების წყალობით შესაძლებელი იქმნება გადააყენოს ტახტიდგან მონჯურიის დინასტია, რომელიც ხელს უშლის ჩინეთის განვითარებასა. რა ღონისძიებით შეიძლება ამ დინასტიის გადაყენება? რჩევა-დარიგება და ხვეწნა-მუდარა ხომ ამაოა. საჭიროა მხოლოდ ძალა, საჭიროა მუშტი და მეტი არაფერი. სამხრეთ ჩინეთის საიდუმლო საზოგადოებათაც მუშტს მიჰმართეს. სამხრეთ ჩინეთში არის ორი დიდი ქალაქი—კო-იანგი და აიო-იანი. მეამბოხეთ ეს ორი ქალაქი დაიპყრეს, განაძევეს იქიდგან მთავრობის ჯარი, დაუხოცეს 200 ჯარის კაცი, უფრო მეტი დასჭრეს და მერე სიკვდილით დასაჯეს მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის ჩინეთში რეფორმების შემოღებას და ხალხს აჯანყებს. ხალხის ამბოხებას ხელს უმართავენ: იაპონია, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები. ეს გარემოება იქნება ვისმე გაუკვირდეს. განათლებული ინგლისი და ამბოხება. შეერთებული შტატები და „შავი დროშა“ საიდუმლო საზოგადოებათა. მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდით საქმეს, გავიგებთ, რომ ეს სახელმწიფონი მართლა ხელს უნდა უმართავდნენ ამბოხებას. ჯერ იაპონიაზე ვილაპარაკოთ. ვინ არ იცის, რომ იაპონიას დიდი ხანია ჰსურს ჩინეთის დაპყრობა. დაიპყრობდა კიდეც, ევროპა რომ არ ჩარეულიყო საქმეში და ხელი არ შეეშალა. მაგრამ თუ დიდი ძალა მოიპოვა იაპონიამ, მაშინ-კი ეცდება ჩინეთი დაიპყროს. მერე სად მოიპოვებს ამ ძალას? სადა და ისევ ჩინეთში. ჩინეთის ერი—აი იმისი მეგობარი. იაპონიას იმედი აქვს ჩინეთის ერს მივიმხრობ და მერე დავიპყრობ მთელს სახელმწიფოსო.

ინგლისის შესახებ ხომ ლაპარაკი მეტია. ვინ არ იცის, რომ ინგლისს ძლიერ უყვარს მღვრიე წყალში თევზის ჭერა. თუ ამბოხება მოხდა და მანჯურიის დინასტია გადააყენეს ტახტიდგან, ინგლისი ბევრს მოიგებს. იგივე ითქმის შეერთებულ შტატების შესახებაც. შეერთებულ შტატების სურვილია, თანდათან მიუახლოვდეს ჩინეთს. ფილიპინის კუნძულების ხელში ჩაგდებას სწორედ ეს აზრი ჰქონდა და ეჭვი არ არის, ამიერიდგან ეს სახელმწიფო ეცდება გაჰგლიჯოს რამ ჩინეთს. მერე რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია?

რუსეთიც შორიდგან არ უვლის ჩინეთს. რუსეთი ჩინეთს ჩრდილოეთიდგან უახლოვდება. ციმბირის რკინის გზას მოჰყვება მანჯურიის რკინის გზაც, რომელიც რუსეთს აუცილებლად პეკინში მიიყვანს. საფრანგეთმა ფეხი მოიკიდა ტონკინში და ყველა მეზობლებს შესცქერის, რა განზრახვა აქვთ და რას აკეთებენო. გერმანია კიო-ჩაუში დამკვიდრდა და თუმცა მეამბოხენი ძლიერ ემუქრებიან გერმანელებს, გერმანიას მაინც ფიქრად არ მოსდის ამ ადგილის თავის დანებება.

რა მოხდება შემდეგ? ჩრდილოეთი გაიმარჯვებს ჩინეთში, თუ სამხრეთი. გამოიღვიძებს როდისმე ეს უზარმაზარი სახელმწიფო, მოიკრებს ძალ ღონეს და თავს დაახწევს შინაურსა და გარეულს მტრებს, თუ დაემხობა და მსხვერპლი შეიქმნება მადა აღძრულ მეზობლებისა, რომელნიც გასწეწავენ და დაინაწილებენ, ამის თქმა ჯერ ჯერობით არავის შეუძლიან.

ა. ნ.

გაზ. „New Iork Times“-ი ამბობს ამის შესახებ, რომ ჩვენ დიდი ხანია გვსურდა კავშირი ინგლისსა, იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის და საქვეყნოდაც ვაღიარებდით ჩვენს სურვილსო. ლორდ ბერესფორდს უნდა ამ კავშირს გერმანიაც შეუერთოს, მაგრამ ძლიერ ბევრს ამერიკელს და, როგორც ვფიქრობთ, ბევრს ინგლისელსაც არა სურს გერმანიასთან რაიმე საერთო ჰქონდეს, რასაც სამოას საქმეებიც გვიმტკიცებსო.

—

**ფილიპინები.** როგორც ამბობენ, ფილიპინელი მეამბოხეები დარწმუნებულნი არიან, რომ თვალსაჩინოდ შებრძოლება ამერიკის ლაშქართან ხელს არ მოგვცემსო, და გარდაუწყვეტიათ მალულად დაეცნენ ხოლმე თავს ამერიკელებს აქაიქ და ამ გვარად მუდამ შიშს ქვეშ იყოლიონ. უმთავრესი ბანაკი აგვინალდოსი კოლაკანის მახლობლად უთვია, მარილაოში, სადაც ამერიკელების უუმბარა ვერ მისწვდება. საზოგადოდ ასე ჰფიქრობენ მცოდნე კაცები, რომ ამერიკის ჯარი ზღვის პირა ქალაქებსკი ადვილად დაიჭერს, მაგრამ ზღვას თუ მოშორდა, ძლიერ გაუჭირდება საქმეო.

# თეატრის მატიანე

„სიკოია დენჩიკი“, კომედ. 3 მოქმ., გადმოკ. დ. მესხის მიერ.

„ნება მიბოძეთ, ბატონებო!“ კომ. 2 მოქმ., გადმოკ. ი. კერესელიძის მიერ.

18 თებერვალს ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ზემოდ დასახელებული ორი რუსულიდგან გადმოკეთებული კომედია. პირველი პიესა ქართულად კარგა ხანია გადმოკეთებულია და ქუთაისში რამდენჯერმე წარმოუდგენიათ კიდეც, ხოლო ტფილისში ამ საღამოს პირველად წარმოადგინეს იგი. შინაარსი პიესისა მეტად მარტივია. ახალგაზდა აფიცერს ივანე ჩხიკვაძეს (ბ-ნი შათირიშვილი) უყვარს თავადის კირილე ყორანაშვილის (ბ-ნი გედევანოვი) ქალი ეფროსინე (ქ-ნი გარელი), რომელიც აგრეთვე თანაუგრძნობს მას და მზად არის ცოლად გაჰყვეს. ამ ქორწინების დიდი წინაამდეგია როგორც მამა ქალისა, აგრეთვე დედა კნეინა თეოდოსია (ქ-ნი ჩერქეზიშვილისა). იმათ ჰსურთ თავიანთი ერთად-ერთი ქალი მიათხოვონ კარგის გვარისა და მდიდარს თავადიშვილს. ასეთი საქმრო კიდეც იშოვნეს —რაჭველი თავადი ტრიფონ სხვაბაძე (ბ-ნი სვიმონიძე); თითქმის საქმე საქმეზედ მიიყვანეს კიდეც, მაგრამ ამ დროს ყველაფერს ჩაფუშავს და საქმეს აფიცრის ჩხიკვაძის სასარგებლოდ დაატრიალებს მოხერხებული, ეშმაკი და მხიარული იმერელი „დენჩიკი სიკოია“ (ბ-ნი დ. მესხი). ამ პიესის თავი და ბოლოდ ეს „სიკოია დენჩიკია“ ყველაფერს ის ახერხებს, უმთავრესი მომქმედი პიესაში ის არის. „სიკოია დენჩიკი“ თავ. ყორანაშვილის ძმის, მილიცრის პრაპორშჩიკად ნამყოფის, იოსებ ყორანაშვილის (ბ-ნი კანდელაკი) ქალის ევგენიას (ქ-ნი კარგარეთელი) დახმარებით, ატყუებს ეფროსინეს დედ მამას, რომ აპარებს ქალს ეკკლესიაში, სადაც ჩხიკვაძე და ეფროსინე ჯვარს იწერენ. ბოლოს ნაწყენი დედ-მამა შეურიგდება, როგორც თავისს ქალს, აგრეთვე ახალს სიძეს და „სიკოია დენჩიკსაც“ პატივებს მოტყუილებას.

თუმცა პიესა უშინაარსოა, მაგრამ იგი იმდენად მხიარულია, რომ მაყურებელი სიამოვნებით უგდებს ყურს. განსაკუთრებით ბევრს სიცილს იწვევს „სიკოია დენჩიკის“ ეშმაკობა და ოინები. პიესამ საზოგადოდ კარგად და მხიარულად ჩაიარა. კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნთ ჩერქეზიშვილმა, კარგარეთელმა, ბ-ნთ დ. მესხმა, კანდელაკმა, სვიმონიძემ და შათირიშვილმა. ცოტა უფერულად ჩაატარა როლი ქ-ნმა გარელმა. ხოლო მეტად უფერულად ჩაატარა პატარა, მაგრამ მხიარული როლი მოახლესი, სიკოიას „სულის ბოქლომის“ მაგდანასი, ქ-ნმა რენელმა. ბ-ნ გედევანოვის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენის აზრით, ამ არტისტს სრულიად არ ეხერხება ქართველის ძველის თავადიშვილის როლის შესრულება.

რაც შეეხება ამ საღამოს წარმოდგენილ მეორე პიესას, —„ნება მიბოძეთ, ბატონებო!“, ჩვენის აზრით უკეთესი იქნებოდა არტისტები არ შეეწუხებინათ როლების დასწავლით და დამსწრე საზოგადოება ამ კომედიის მოსმენით. ეს კომედია ივ. კერესელიძის მიერ გადმოკეთებულია ჯერ ისევ იმ დროს, როდესაც ქართულ დრამატიულ ლიტერატურაში ორისა თუ სამის პიესის მეტი არ მოიპოვებოდა; მაშინ მესაწყნარებელი იქნებოდა ამ პიესის წარმოდგენა და შეიძლება იმ დროის საზოგადოებას აკმაყოფილებდა კიდეც იგი, დღეს-კი, როდესაც რეპერტუარიც უფრო ვრცელია და მოთხოვნილებაც მეტია, —ძალიან გვაკვირვებს, რომ აფიქრებინათ ამ პიესის წარმოდგენა. არ ვიცით პიესების ამორჩევის საქმეს ვინ განაგებს, „რეჟისორნი“ თუ „კომიტეტი“, ეს კია, რომ ამ სეზონში პიესის ამომრჩევლებმა დიდი ნიჭი გამოიჩინეს ძველის-ძველის ტუხეირო პიესების ამორჩევისა!..

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აგრეთვე ჩვენს სცენაზედ ქართულის ენის დამახინჯება. არტისტების შესახებ ხომ სჯობს არაფერი ვთქვათ: რაც უნდა კარგის ენით იყოს დაწერილი პიესა, ისინი მაინც ისე ამახინჯებენ და სცვლიან ენას, რომ მსმენელი გაკვირვებაში მოდის. მაგრამ ზოგჯერ თვით პიესის ენაც არ ვარგა. ნუთუ არ შეიძლება ასეთს შემთხვევებში ისეთი სიტყვები მაინც იყოს აცილებული თავიდგან, როგორიც არის მაგალითად, „პოვარი“, „ზაკუსკა“, „კუჩერი“ და მრავალი სხვა.

წარმოდგენას საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია შაბათს, 27 თებერვლისათვის, ვ. აბაშიძისა და კ. მესხის საბენეფისოდ. წარმოადგენენ 3 მოქმედებიანს გადმოთარგმნილ დრამას „თავ-აღებულს“ და გადმოთარგმნილსვე 3 მოქმ ფარსს „ოხუნჯები“-ს. ეს წარმოდგენა ამ სეზონში უკანასკნელი იქმნება. საკვირველია, რომ ყველიერში არც ერთს წარმოდგენას არა ჰქართავენ.

ი.

# დამაკვირდი

რაცა ჩვენის ხელით გამოვიდეს, რჯულის სიმაგრე მოვიპოვოთ.

საბა მტბევარი

* * *

სიფრთხილით სიფრთხილე ასწავლეთ თქვენთა მორჩილთა კაცთა.

ერეკლე II.

* * *

გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება უოკვლდგან დაჩაგრულია.

აკაკი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის დიდ ქალაქებში თან და თან მოუხშირეს უზარმაზარ სახლების აშენებას. 17—20 სართულიანი სახლი ძლიერ ბევრი შენდება. ეხლახან ერთი 29 სართულიანი სახლიააშენეს. სახლის ასაშენებლად ნახმარია მხოლოდ ქვა და ფოლადი. ამ სახლში 950 ოთახია, 2,095 ფანჯარა აქვს. ამ სახლში სცხოვრობს 4000 კაცი და ამგვარად ეს ერთი სახლი მცხოვრებთა რაოდენობით უჯრის ზოგიერთ ქალაქს. სახლის აშენება დაჯდა 95 მილიონ მანათად. ნოემბრის გასულს ერთს 17 სართულიანს სახლს ნიუიორკში ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. დაიწვა მხოლოდ სახლის ავეჯი და დასკდა მარმარილოს ქვები. საზოგადოდ ამ გვარ სახლებს ცეცხლი ვერაფერს აკლებს.

* * *

ამერიკის შტატის ქალაქ სონ-ლუიში დაარსდა საბავშვო ბანკი. თანხა ამ ბანკისა ჯერ-ჯერობით არ აღემატება 50,000 მანათს. სულ 5,000 აქცია გამოსცა ბანკმა. აქციონერებათ არიან გიმნაზიელები და სხვა და სხვა სასწავლებლის მოწაფენი ორსავე სქესისა. უკანასკნელი კრება ამ ბანკის აქციონერთა მოხდა სამოქალაქო სასწავლებლის დიდს დარბაზში. დაესწრო 4000 აქციონერი მოწაფე. ამ ბანკის დამაარსებელი 11 წლისაა. კომიტეტის თავმჯდომარე, მდივანი და კასსირი არც ერთი ჯერ სრულის 15 წლისა არ არის. მარტო ბუჰგალტერები არიან ვაჟკაცები, რადგანაც ბავშვები ვერ ერევიან ბუჰგალტერიას.

# დეპეშა

18 თებერვალი

**პეტერბურგი.** დღეს პეტრე პავლეს ტაძარში გადრახდილ იქმნა წირვა იმპერატორის ნიკოლოიზ პავლეს ძის სულის მოსახსენებლად. მწირველნი იყვნენ მიტროპოლიტნი პეტერბურგისა, კიევისა და მოსკოვისა, უწმიდესის სინოდის წევრნი და სხვა სამღვდელოებ. პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და მთავრინანი.

დღეს აკურთხეს მთავარი კანტორა იმ ამხანაგობისა, რომელსაც აზრადა აქვს გააიაფოს პარიჟში წასვლა მსოფლიო გამოფენაზე, რომელიც უნდა მოხდეს 1900 წელს. კურთხევას დაესწრნენ: სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი კოვალევსკი, ვიცე-დირექტორი მიხნევიჩი, გამოფენის რუსეთის განყოფილების მთავარი კომისარი თავ. შანიშევი. ამხანაგობის დამაარსებელი ნეჩაევია. გადაწყვეტილია, რომ ამხანაგობა 300 მანეთად წაიყვანს პარიჟში მსურველთ ვარშავსა, ვერჟბოლოვოსა და ალექსანდროვოიდან და იქიდგან ისევ უკან დააბრუნებს ზემოხსენებულ ადგილებამდე მეორე კლასის ვაგონებით. გარდა ამისა, 300 მანათადვე მგზავრს ექმნება საუკეთესო სასტუმროში ცალკე ოთახი, ჭამა-სმა ორის კვირის განმავლობაში, უფასოდ შეეძლება გასინჯოს გამოფენა და თან ახლდება მცოდნე კაცი.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით სწერენ პეკინიდგან, რომ ჯერ არ არის დანიშნული დღე ახალის ნავთსადგურის ნან-ნონ-ფუს გახსნისა. ჩინეთს უფლება ექმნება ამ ნავთ-სადგურის კონტროლისა.

**პარიჟი.** საკასსაციო სასამართლოს პალატა არჩევს დღეს პიკარის თხოვნას, რომელშიაც მოხსენებულია, სასამართლომ არ უნდა განიხილოს ჩემი საქმეო. ხალხი ცოტაა. პროკურორის ადგილი უჭირავს მთავარ პროკურორს მანოს. იტალენი მოხსენებას კითხულობს.

**პარიჟი.** პალატა. კუნეოს უნდა დაეკითხოს პალატას შესახებ იმისა, რომ ეხლახან მომხდარი გაჩხრეკვა სახლებისა უკანონო იყოო. დიუპუი ამბობს, ეს საქმე ერთის თვის ვადით გადავდოთო. პალატა დასთანხმდა და შემდეგ შეუდგა ბიუჯეტის განხილვას.

**მადრიდი.** დედოფალი კვლავ მოლაპარაკებაშია საპოლიტიკო მოღვაწეებთან. ჯერ არავინ იცის საქმე რით გათავდება.

**ბრიუსელი.** ბელგიის დედოფალი ავად გახდა ბრონხიტით.


# განცხადებანი

## წყალ-წმიდის ძმობისაგან.

წყალ-წმიდის სამრევლო-სამეურნეო სკოლაში ასწავლიან საეკკლესიო გალობას ნოტებით, ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. მსურველთ შეუძლიანთ (კერძო კაცებს) ისწავლონ უსასყიდლოდ. რაც შეეხება ხარჯსა და ბინას, სკოლის მმართველი მისცემს, შეძლებისა დაგვარად, შეღავათით ბინასა და ხარჯს, თუ ცოტას იმუშავებს, ან ფულად.

## მასწავლებელ ქალთა სკოლაში

(ნაგორნის და გუდოვიჩის ქუჩების კუთხე № 12) შეიძლება კიდევ მიღება ყვაწვილებისა როგორც საზოგადოდ სკოლაში, აგრეთვე **ქართულ** და **სომხურ** განყოფილებაში.

სწავლის ფასი ამ ორს უკანასკნელ განყოფილებაში თვეში 6 მან.

(5—უ.—3)

დაიბეჭდა და გაიყიდება „წერა-კით. გამავრ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული

## საყმაწვილო მოთხრობანი

ეკატერინე გაბაშვილისა.

**ფასი 30 კაპ.**

დ ა ი ბ ე ჭ დ ა  დ ა  ი ს ყ ი დ ე ბ ა

**ახალი ქართული წიგნი**

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებულით ანუ ქრისტომატიით, რომელიც ორ-ნაწილად არის შემდგარი.

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ და სახმარებლად სათავად-აზნაურო სკოლებისა, სასულიერო სასწავლებლებისა, საოსტატო და სამართლ-მადიდებლო სემენარიებისა და დედათა საეპარქიო სკოლებისათვის.

შედგენილია კირიონ ალავერდის ეპისკოპოსისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ.

მოკლე შინაარსი სიტყვიერების თეორიისა: წინასიტყვაობა.—შესავალი.—თეორია ენისა ანუ სტილისტიკა.—პროზა ანუ თეორია პროზისა.—თეორია პოეზიისა.—პოეზია საეპიკო და სალირიკო.—სადრამო პოეზია.

მოკლე შინაარსი სალიტერატურო ნიმუშების კრებულისა: ნაწილი I. აღწერანი მარტივნი და მხატრობითნი.—მგზავრის წერილები.—მოთხრობითნი თხზულებანი, ბიოგრაფია და დახასიათებანი.—მსჯელობითნი თხზულებანი.—საორატორო პროზა: მჭევრმეტყველება საპოლიტიკო, სახოტბო და სასულიერო.

ნაწილი II. საეპიკო პოეზია.—საერო ეპოსი.—ესკიზი, ამბავი და მოთხრობა.—იდილიები, იგავ-არაკნი და ბალადები.—სალირიკო პოეზია: სატირა, ოდა, ელეგია, სალირიკო ლექსნი, ლექსნი, დაწერილნი საერო კილოზედ, ხალხურნი ლექსნი, ჰიმნი, მადრიგალი, ეპიტაფია, ეპიგრამა. (ამ უკანასკნელს განყოფილებაში მოთავსებულია, სხვათა შორის, საუკეთესო სალირიკო ლექსები ჩვენის პოეტებისა).

მთლად წიგნი, ესე იგი სიტყვიერების თეორია და დამატება (ქრისტომატია) ორ ნაწილად, საკმაოდ მოზრდილის ტანისაა და შეიცავს 640 გვერდს ანუ სტამბის $20^1/_2$ თაბახს და ჰღირს

# ე რ თ ი  მ ა ნ ა თ ი.

წიგნის მაღაზიებს და საზოგადოდ ყველას, ვინც ათს ცალზედ ნაკლებს არ იყიდის ნაღდს ფულზედ, 20% დაეთმობა.

საწყობი წიგნისა „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაშია. იქვე ისყიდება ახალი ქართული წიგნი

უცხო მწერალთა ამბავნი და მოთხრობანი

თარგ. გრ. ყიფშიძის მიერ.

**ფასი სამი შაური.** (10—9)

# იყიდება იაფად და პირიანად

სხვა და-სხვა საგალანტერეიო საქონელი: ქოლგები, ხელთათმანები, მარაოები, ლენტები, არშიები, ჩულქები, კორსეტები, პირ ბადეები და ქალისა და კაცის სხვა სამკაული

# მკაფი № 21.

თამამშევის ქარვასლაში, ფორაქოვის მაღაზიის პირდაპირ.

ყველა საქონელი კარგის ღირსებისაა.

(20—ნ.—11) ი. ნიკოლაშვილი


Дозволено цензурою, Тифлисъ 19 го Февраля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე